ჰანიბაღი

50 პერსონა – მათ შექმნეს ისტორია

2017-10-25



50 პერსონა – მათ შექმნეს ისტორია

ტომი 20

ავტორი გრანი ქავთარია

რედაქტორი ღადო იოსებაძე
კორექტორები: სვეტა კვარაცხელია,ნატალია ჩიმაკაძე
დიზაინერი რატი თორდია
პასუხისმგებელი რედაქტორი ნატალია ახვლედიანი
კომპიუტერული უზრუნველყოფა რეზო თხილიშვილი
პროექტის მენეჯერი ელისო რეხვიაშვილი

© გამომცემლობა პალიტრა L, 2017
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
E-mail: book@palitra.ge;
ტელ.: 238-38-71
www.palitral.ge

ჟურნალ «ისტორიანის» ბიბლიოთეკა

თავი I. კართაგენი პუნიკურ ომებამდე

ძველი მსოფლიოს ისტორიაში წარმოებული ყველაზე ხანგრძლივი ომი ცნობილია პუნიკური ომების სახელწოდებით. ამ დაპირისპირებამ, რომელიც მიმდინარეობდა რომსა და კართაგენს შორის, გადაწყვიტა ხმელთაშუა ზღვაზე ჰეგემონობის საკითხი. ომის მთავარი შემოქმედი იყო კართაგენი.

ანტიკური ტრადიციის თანახმად, კართაგენი (ფინიკიურად «კარტხადაშტ», ბერძნულად «კარხედონ», ლათინურად «კართაგო») ფინიკიელებს დაუარსებიათ («კარტხადაშტ» ფინიკიურად ახალ ქალაქს ნიშნავს) ძვ. წ. IX საუკუნის ბოლოს, 825 თუ 814 წელს, აფრიკის ჩრდილო სანაპიროზე, დღევანდელი ტუნისის ყურეში.

მისი დაარსება ცნობილი ქალაქის, ტვიროსის, სახელს უკავშირდება.

თავდაპირველად კართაგენი, როგორც კოლონია, მეტროპოლიის კონტროლს ემორჩილებოდა და გარე სამყაროსთან დამოუკიდებელი ურთიერთობის უფლება არ ჰქონდა. ამის გამო დიდხანს ჩვეულებრივ რიგით ახალშენად რჩებოდა.

ძვ. წ. VIII საუკუნის მეორე ნახევარში ხმელთაშუა ზღვის დასავლეთში არსებული ფინიკიური კოლონიების მდგომარეობა შეიცვალა. ასურეთის მეფე სალმანასარ V-მ (ძვ. წ. 726-722 წწ.) ფინიკია დაიპყრო. ტვიროსი ჩამოქვეითდა. ამით ისარგებლეს ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ აუზში არსებულმა მისმა კოლონიებმა და თავი დამოუკიდებლად გამოაცხადეს.

ფინიკიის დამოუკიდებელ არსებობას მომაკვდინებელი მახვილი ჩასცა აქემენიდურმა სპარსეთმა. ძვ. წ. VI საუკუნეში მთელი სანაპირო აქემენიდების იმპერიის შემადგენლობაში შევიდა.

მეტროპოლიის დაცემამ ხელი შეუწყო კართაგენის გაძლიერებას. ძვ. წ. VII საუკუნის შუახანებისთვის იგი სათავეში ჩაუდგა აფრიკაში არსებულ ფინიკიურ ქალაქებს. ზოგი ძალით, ზოგი ნებით თავის ძალაუფლებას დაუმორჩილა, მაგრამ კართაგენი მხოლოდ ამით არ დაკმაყოფილდა. იგი შეუდგა დამოუკიდებელი საკოლონიზაციო ქსელის გაბმას როგორც აფრიკის კონტინენტზე, ისე მის გარეთ.

კართაგენმა უკონკურენტოდ გააფართოვა თავისი გავლენის სფერო, პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა დაამყარა სიციდიასა და იბერიის (ესპანეთის) მრავალრიცხოვან ტომებთან. დროის მცირე მონაკვეთში ტვიროსის ყოფილი კოლონია ერთ-ერთ თვალსაჩინო პოლიტიკურ ძალად იქცა ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ სანაპიროების ქვეყნებში. მის დაქვემდებარებაში აღმოჩნდნენ აფრიკის ძველი ფინიკიური ქალაქები: უტიკა, ლეპტისი, ჰადრუმეტუმი და სხვები. კართაგენმა დაიმორჩილა ესპანეთის სანაპიროზე არსებული ფინიკიური ახალშენები და ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ აუზში მდებარე კუნძულებიც, მათ შორის — სიციდიის მნიშვნელოვანი ნაწილი. აქტიური მოქმედებების შედეგად, კართაგენის სახით ჩამოყალიბდა დიდი და ძლიერი სახელმწიფო, რომლის გავლენამ ატლანტის ოკეანის სანაპიროებს მიაღწია.

ძვ. წ. VI საუკუნის მიწურულს კართაგენმა გააძლიერა აგრესია ახალი ტერიტორიების მისატაცებლად. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა ცნობილი კართაგენელი სარდალი, მაღხუსი. მაღხუსმა დაამარცხა აფრიკელი ტომები, დაამთავრა ომი კირენასთან და დაადგინა საზღვარი აფრიკის ბერძნებთან. მაღხუსი მეთაურობდა კართაგენის არმიას კუნძულ სარდინიაზე, მაგრამ დამარცხდა და, მრავალი დამსახურების მიუხედავად, სამშობლოდან გააძევეს.

მაღხუსის განდევნის შემდეგ კართაგენის ხელისუფლების სათავეში მოექცა მაგონი. მაგონის გატარებულმა რეფორმებმა საფუძველი ჩაუყარა კართაგენის ძლიერებას. რომაელი ისტორიკოსის, პომპეუს ტროგუსის გადმოცემით, მაგონმა მოაწესრიგა ქვეყნის სამხედრო ორგანიზაცია, ჩამოაყალიბა ოლიგარქიის ძირითადი დასაყრდენი — დაქირავებული არმია. ამიერიდან არმია გახდა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ძალა, რომელსაც კართაგენის საერო ხელისუფლება უსიტყვოდ ემორჩილებოდა. ქალაქის პლებსი ჩამოშორდა სამხედრო სამსახურს და მისი გავლენა სახელმწიფოებრივ საქმიანობაზე საგრძნობლად შემცირდა. ძვ. წ. VI-V საუკუნეებში კართაგენში სამხედრო დიქტატურა დამყარდა. მაგონიდებმა მტკიცედ აიღეს ხელში ძალაუფლება. ბერძენი ავტორები მათ მეფეებად მოიხსენიებენ. ცნობილია მაგონიდების გვარის სამი თაობა. ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევარში მაგონიდები ხელისუფლებას ჩამოაშორეს. ანტიკური ავტორების გადმოცემით, მთავარსარდალთა ამ ოჯახის საქმიანობის ატანა თავისუფალი სახელმწიფოსთვის სამძიმო გახდა. ოლიგარქიამ ბრძოლა დაიწყო ქვეყნის მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მისაღებად. ეს ბრძოლა მათი გამარჯვებით დამთავრდა. მაგონიდების ბატონობა დაემხო. კართაგენში დამყარდა ოლიგარქიული რესპუბლიკური წყობილება. მთელი ძალაუფლება მსხვილი მონათმფლობელებისა და მდიდარი ვაჭრების ხელში გადავიდა.

ოლიგარქიული წყობილების დამყარებამ შეცვალა ყველა ადრინდელი მაგისტრატის ფუნქცია და მოვალეობა. უმაღლესი თანამდებობის პირი გახდა სუფეტი. ყოველწლიურად კართაგენის სახალხო კრება ორ სუფეტს ირჩევდა (სუფეტი — ფინიკიურად «შოფეტი», მოსამართლეს ნიშნავს. ბერძენი ავტორები სუფეტებს მეფეებს უწოდებენ). ბერძენ-რომაელი მწერლები დიდ მსგავსებას ხედავდნენ კართაგენის სუფეტებისა და რომის კონსულების უფლებამოსილებას შორის. თანამდებობაზე მათი ყოფნის ვადაც ერთგვაროვანი იყო — ერთი წელი.

კართაგენის მთავარ პოლიტიკურ ორგანოს უხუცესთა საბჭო — სენატი წარმოადგენდა, რომლის შემადგენლობა, რესპუბლიკური გადატრიალების შემდეგ, 300 წევრამდე გაიზარდა. სენატის შემადგენლობაში შედიოდნენ მსხვილი მონათმფლობელები, ფინანსისტები და ვაჭრები. სენატი სუფეტებთან ერთად ყველა მნიშვნელოვან

საკითხს წყვეტდა.

რესპუბლიკური გადატრიალების შემდეგ რეორგანიზაცია განიცადა 10-ის საბჭომაც, რომელშიც წარჩინებული კართაგენელები შედიოდნენ. მისი შემადგენლობა 30 წევრამდე გაიზარდა და რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოდ იქცა. 30-ის საბჭო წინასწარ იხილავდა დიდ საბჭოზე – სენატის სხდომაზე – გასატან საკითხებს.

კართაგენში განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა მთავარსარდალი, რის გამოც რომაელები მას დიქტატორს უწოდებდნენ. ბერძენი მწერლების დახასიათებით მთავარსარდალი მშვიდობიანობის დროს მოქმედებდა ოლიგარქიულად, ომიანობის დროს – მონარქიულად. კართაგენის ყველა მაგისტრატის უფლება-მოვალეობის ვადა მკაცრად იყო განსაზღვრული, გარდა მთავარსარდლის თანამდებობისა.

ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ კოლეგიალური კომისიები. განსაკუთრებული ფუნქციებით იყო აღჭურვილი პენტარხია, ხუთი წევრისგან შემდგარი კომისია, კართაგენის ოლიგარქიული ხელისუფლების ბურჯი. მის წევრებს კოოპტაციის (დამატებითი არჩევა) წესით ნიშნავდნენ თანამდებობაზე. პენტარხიის ფუნქციაში შედიოდა 104-ის კოლეგიის წევრთა დანიშვნა. 104-ის კოლეგიასაც ფართო უფლებები გააჩნდა. ძვ. წ. V საუკუნეში იგი სპეციალურად მთავარსარდლის უფლებების განსაზღვრისთვის შეიქმნა. მას ევალებოდა, მეთვალყურეობა გაეწია მისი საქმიანობისთვის და არ მიეცა მეტისმეტად გაძლიერების საშუალება. კოლეგიის წევრებს პენტარხია წარჩინებული ოჯახების წრიდან ნიშნავდა.

კართაგენის რესპუბლიკის უმაღლესი ორგანო, ფორმალურად, სახალხო კრება იყო. კრება ირჩევდა მაგისტრატებს, იხილავდა ყველა მნიშვნელოვან საკითხს. მაგრამ კართაგენში არჩევნები წარჩინებისა და სიმდიდრის პრინციპით ტარდებოდა და ცხადია, ქალაქის პლებსი ვერ წამოაყენებდა თავისი რიგებიდან პიროვნებას რომელიმე თანამდებობის დასაკავებლად. ამგვარი შეზღუდულობის გამო კართაგენის სახალხო კრება, უმეტესად, ცალკეული პარტიებისა თუ პირების ნება-სურვილის აღმსრულებელი იყო. სახალხო კრება სრულ ფუნქციებს მხოლოდ მაშინ იძენდა, როდესაც ოლიგარქიულ ორგანოთა შორის უთანხმოება წარმოიშობოდა. ასეთ შემთხვევაში კრება, ფაქტობრივად, უმაღლეს განმკარგულებელ ორგანოდ გარდაიქმნებოდა ხოლმე. იგი არა მარტო იხილავდა სუფეტების მიერ შეტანილ საკითხებს, არამედ თავის მხრიდანაც წამოაყენებდა წინადადებებს და იღებდა გადაწყვეტილებებს. მაგრამ ასეთი რამ კართაგენის ისტორიაში იშვიათად ხდებოდა.

ძვ. წ. V საუკუნეში ჩამოყალიბებული სახელმწიფო წყობის ამ სისტემით ხელმძღვანელობდა კართაგენის პლუტოკრატია, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის წარმართვაში. ანტიკური ავტორები აღნიშნავენ, «არც ერთ სახელმწიფოში სიმდიდრეს ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონია, როგორიც კართაგენში».

კართაგენის ეკონომიკური ძლიერების საფუძველი დაწინაურებული სოფლის მეურნეობა და საშუამავლო ვაჭრობა იყო.

ფინიკიური წარწერები და უამრავი არქეოლოგიური მასალა, რომლითაც ასე მდიდარია ხმელთაშუა ზღვის სანაპიროები, იმაზე მიუთითებს, რომ კართაგენელები, საუკუნეთა განმავლობაში, ხმელთაშუა ზღვის აუზის ხალხთა დამაკავშირებელნი იყვნენ.